7

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის - სექტემბერი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 სექტემბრის 48-482625293 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მ. უგლავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი: გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482625293**
თარიღი: **09/09/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ (ს/კ 421268194) დირექტორის წერილი (თან ერთვის), რომლითაც ორგანიზაცია ითხოვს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, კვლავ გადაეცეს სარგებლობაში ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკადასტრო კოდი №29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ ფართი.

აღნიშნულ ფართზე გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულდა 2026 წლის 8 სექტემბერს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრს „ჩვენი სახლი“ (ს/კ 421268194), რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ და მიტოვების რისკის მქონე ბავშვებს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ერთი წლის ვადით, ფუნქციონირებისათვის გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევი №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკადასტრო კოდი №29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ ფართი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო

ჩვენი სახლი

Georgia

Our House

N433

2 სექტემბერი 2026წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგეხსენებათ რომ ქ.წყალტუბოში, მისამართზე 9 აპრილის 1-ლი შესახვევი №2 ფუნქციონირებს ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ჩვენი სახლი", რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულია დღის ცენტრებით მომსახურების ქვეპროგრამის მიმწოდებლად და ემსახურება 6-დან 18 წლამდე სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ და მიტოვების რისკის ბავშვებს.

თქვენს მიერ დღის ცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ფართით სარგებლობის ვადა იწურება 2026 წლის სექტემბერში. გთხოვთ აღნიშნული ფართით სარგებლობის უფლება გაგვიგრძელოთ 2 წლის ვადით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცენტრის საქმიანობის უწყვეტობა.

პატისცემით,
ცენტრის დირექტორი
ნანა გვაჩლიანი

საქართველო, წყალტუბო, 5400 ბესიკის ქ.4/40
ს/კ: 421268194
ტელ: +995 436221314 მობ: +995 98 217021

4/40 Besiki str. 5400 Tskhaltubo, Georgia.
I/C: 421268194
TEL: +995 436221314 MOB: +995 98217021